
**ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემიდან მიღებული
შემოსავლების სოციალური გადასახადით
დაბეგვრასთან დაკავშირებით**

თავიდანვე ხაზს უსვამთ, რომ აღნიშნული სახით მიღებული შემოსავლების საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია ცალსახად და ამ კუთხით სადაო არაფერია, რაც შეეხება სოციალური გადასახადით დაბეგვრას, საგადასახადო კოდექსის 266-ე მუხლის მიხედვით სოციალური გადასახადის გადამხდელად ითვლებიან მეწარმე ფიზიკური პირები, კოდექსის ამ ნაწილით აღნიშნული გადასახადის გადამხდელებად არამეწარმე ფიზიკური პირები არ განიხილებიან.

საგადასახადო კოდექსის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ეკონომიკური საქმიანობა ორი სახისაა - სამეწარმეო და არასამეწარმეო, ხოლო მე-6 პუნქტის მიხედვით „არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას მიეკუთვნება . . . ქონების იჯარით გაცემა, გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა“. ამ მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით კი სამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას მიეკუთვნება გარკვეული სამეურნეო ოპერაციის სახით ისეთი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება, რომელსაც სისტემატიური ხასიათი აქვს და აღნიშნული ოპერაციების განმახორციელებელი პირის პროფესიულ საქმიანობას წარმოადგენს, ანუ თუ ეს ორი პირობა (სისტემატიურობა და პროფესიული ხასიათი) ერთდროულად დგას, მაშინ ასეთი საქმიანობა ითვლება სამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად. განვიხილოთ მაგალითი: პიროვნება

აქტირებს თავის საკუთრებაში არსებულ ფართს, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ეს საქმიანობა რომ ჩაითვალოს სამეწარმეო საქმიანობად, შესაბამისად გამჭირავებელი პირიც - მეწარმე ფიზიკურ პირად და აქედან გამომდინარე იგი დაიბეგროს სოციალური გადასახადით, ერთდროულად უნდა იყოს დაცული ზემოთ მითითებული ორი პირობა. მაგალითიდან კი ჩანს, რომ ქონების გაქირავება არ წარმოადგენს გამჭირავებელი პირის პროფესიულ საქმიანობას.

აქედან გამომდინარე, აღნიშნული შემთხვევა ქონების გაქირავებასთან დაკავშირებით, განვიხილულ უნდა იქნას არასამეწარმეო ხასიათის ეკონომიკურ საქმიანობად, შესაბამისად გამჭირავებელი წარმოადგენს არამეწარმე ფიზიკურ პირს და იგი საგადასახადო კოდექსის 266-ე მუხლის თანახმად არ განიხილება სოციალური გადასახადის გადამხდელად.

დღევანდელი სიტუაცია კი ასეთია, რომ საგადასახადო ინსპექციები კოდექსის ურველგვარი მუხლის ან სხვა ნორმატიული აქტის მითითების გარეშე (რადგან ასეთი არ არსებობს) აკისრებენ საკუთარი ქონების გამჭირავებლებს საშემოსავლოსთან ერთად სოციალური გადასახადის გადახდასაც, რაც თავის მხრივ იწვევს საიჯარო ქირის ოდენობის ხელყოვნურად შემცირებას, ფარულ გარიგებას და ა.შ.

ვინაიდან გაუგებრობას იწვევს კოდექსის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემდეგი ფორმულირება - „ასეთი საქმიანობა ხორციელდება სისტემატიურად და აღნიშნული ოპერაციების განმახორციელებელი პირის პროფესიული საქმიანობაა“ და იგი ურთიერთკავშირშია იმავე მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან, ამიტომ აუცილებლად მოგვარჩია საგადასახადო კოდექსში შესაბამისი დაზუსტებითი ხასიათის დამატების შეტანა.